F 133
1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. იანვრის 11 № 1 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხ[illegible]ართა საბჭოს დადგენილებანი

1. „უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შედგენილობისათვის საშ[illegible]ტატო თანამდებობათა და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების თაობაზე“ გამოცემულ[illegible] სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

2. „სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში მიწის თანამდე სარგებლობაზე გავრცელების შესახებ.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

5. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებსა და დაწ[illegible]ებულებებისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ.

6. რაიაღმასკომების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებ[illegible] მუშაკთათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახ[illegible] კომისართა საბჭოს დადგენილებანი

914

1. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შედგენილობისათვის საშტატო თანამდეობობათა და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების თაობაზე" გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დროული განხორციელება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 11 ნოემბრის დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შედგენილობისათვის საშტატო თანამდეობობათა და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 73, მუხ. 354), და აგრეთვე საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესათანხმებლად სსრ კავშირის ც.ა.კ-ის და სახკომსაბჭოს მომქმედ დადგენილებებთან სასწავლებლებსა და სამეცნიერო საგამოცდო დაწესებულებების შესახებ, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს უზრუნველჰყონ უმაღლეს სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატების დროული წარდგენა უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტისათვის დასამტკიცებლად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 14 აგვისტოს დადგენილება „სასწავლო დაწესებულებათა ქსელის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. №13, მუხ. 128);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციებში გამგებლობაში გადაცემული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 248);

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 10 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 22, მუხ. 211).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომ. [illegible] ორი დეკადის ვადაზე წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს [illegible]თლების სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი გადამუშავებული სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საგამოკვლეო დაწესებულებების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. დეკემბრის 31. № 341/1571.
თბილისი.

F 8158

---

2. „სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის თაობაზე" გამოცემული დადგენილების ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში მიწის თანამდე სარგებლობაზე გავრცელების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 7 დეკემბრის დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის თაობაზე სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ 1937 წ. 4 ივნისს გამოცემული დადგენილების გავრცელების შესახებ, ტყეებში მიწის თანამდე სახით გამოყენებაზე" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 76, მუხ. 373), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 11 სექტემბრის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 15, მუხ. 107), გავრცელებულ იქნას ადგილობრივ მნიშვნელობის ტყით თანამდე სარგებლობის შემდეგ სახეებზე: თიბვა, საქონლის ძოვება, სახნავი ადგილ-მამული და დროებითი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა.

2. დაწესდეს, რომ უფლება ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში არაპირდაპირი სარგებლობისათვის, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 1 მუხლში, სატყეო ორგანოების მიერ სათანადო რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით ეძლევათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკე მოქალაქეებს უსასყიდლოდ.

საქართველოს ეროვნული

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 28 დეკემბრის დადგნილებით დამტკიცებულ „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების“ მე-17 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 12, მუხ. 176) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. ტყეებში თანამდე სარგებლობისათვის, რაც მომქმედი კანონების და წესების თანახმად მიენიჭება დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკე მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის (თიბვა, საქონლის ძოვება, სახნავი ადგილ-მამული და დროებითი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა), სასყიდელი არ გადახდება.

საქ. სსრ ც.ა-კ.-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. დეკემბრის 31. № 240/1572.
თბილისი.

21.5.1

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. იანვრის 5. № 243/1509.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი დაარსებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-IV თავის საფუძველზე და არის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) რესპუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო მნიშვნელობის კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მდგომარეობისა და მუშაობის მეთვალყურეობა და კონტროლი, რაც ხორციელდება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმების, ინსტრუქციებისა და განკარგულებათა საფუძველზე;

გ) ადგილობრივი ქვემდებარეობის კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება;

დ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი ხორცის, რძის, კარაქის, ფრინველის, კვერცხის, ხილბოსტნეულის, ყურძნის, ღვინის, ციტრუსების, ჩაის, კარტოფილის, ჭარხლის, თამბაქოს და სხვ. სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების ხაზით; კერძოდ ხელმძღვანელობის გაწევა იმ აპარატისათვის, რომელიც ამ პროდუქტებს ღებულობს სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ცენტრალიზებულ დამზადებათა, სახელმწიფო შესყიდვათა და დეცდამზადებათა ანგარიშში, რომლებსაც აწყობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარგებს და ემორჩილება, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფუნქციებში შედის:

1. ყველა იმ სამეურნეო ანგარიშის საწარმოებისა და ორგანიზაციების წესდებათა და დებულებათა დამტკიცება, რომლებიც ემორჩილებიან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირები;

2. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კვების მრეწველობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ხაზით წარმოების პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების პროდუქციის გასაღების და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენა და დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს

სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, აგრეთვე დასკვნების მიცემა იმავე ორგანოებისათვის საკავშირო ქვემდებარეობის კვების მრეწველობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალურ გეგმების შესახებ;

3. იმ სამრეწველო სტანდარტების პროექტთა შემუშავება, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე რეცეპტურების შემუშავება და ამ უკანასკნელისათვის წარდგენა დასამტკიცებლად; კვების დანარჩენ პროდუქტებზე რეცეპტურების შემუშავება და დამტკიცება;

4. საკვები პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, ახალი სახის პროდუქციის გამოშვების და ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება, აგრეთვე იმ პროდუქციის ხარისხის ინსპექტირება, რომელსაც უშვებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კვების მრეწველობის ყველა საწარმო;

5. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კვების მრეწველობის ყველა საწარმოს სანიტარული მდგომარეობის ინსპექტირება;

6. თვალყურის დევნება იმისათვის, რომ კვების მრეწველობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ დამტკიცებული სამრეწველო საფინანსო გეგმები;

7. შრომის ორგანიზაციის ხემძღვანელობა, კონკრეტული დახმარების გაწევა საწარმოებისათვის სტახანოვური მოძრაობის, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის საქმეში, კადრების მომზადების და კვების მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მათი განაწილების ხელმძღვანელობა;

8. კვების მრეწველობის საწარმოებში შრომის ნაყოფიერების გადიდების და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა გატარება;

9. კვების მრეწველობის ნედლეული ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების ღონსძიებათა შემუშავება;

10. რესპუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობა, აგრეთვე საერთო საკავშირო მნიშვნელობის კვების მრეწველობის საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის დირექტივებისა და მითითებათა საფუძველზე, კერძოდ: მშენებლობის თვითღირებულების შემცირების და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და გატარება;

11. რესპუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის პროდუქციის გასაცემი ფასების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს სსრ შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გარდა იმ საქონლისა, რომლის გასაცემ ფასებს ამტკიცებს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მონაწილეობის მიღება კვების მრეწველობის პროდუქციის საცალო ფასების და სავაჭრო წანამატების შემუშავებაში;

13. კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამსაღებელ ორგანიზაციათა კონტორებისა და ბაზების მუშაობისათვის და კვების საწარმოების საკუთარი საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელის ხელმძღვანელობა;

14. განცხადების წარდგენა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში იმპორტის დარგში და ექსპორტის მხრივ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალებათა შესრულების ხელმძღვანელობა;

15. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობით, ტექნიკური დამხმარე მასალებით და სათბობით მომარაგების ორაგნიზაცია როგორც საფონდო მასალების მიღების გზით, აგრეთვე არასაფონდო და ადგილობრივი ნედლეულის, ტექნიკური და დამხმარე მასალების დამზადებისა და შესყიდვის ორგანიზაციის საშუალებით;

16. ნედლეულის და გამომუშავებული პროდუქციის გადაზიდვის გეგმების შემუშავება და წარდგენა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში;

17. დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა, წლიური და კვარტალური საფინანსო-საკრედიტო გეგმების დამტკიცება და გატარება, აგრეთვე კვების მრეწველობის დაფინანსებისა და დაკრედიტების საერთო საკითხების შემუშავება;

18. დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა საწესდებო ფონდების ოდენობის დაწესება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

19. რესპუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საწარმოო საფინანსო გეგმების განხილვა და დამტკიცება; კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის კალენდარული ვადების დაწესება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის; დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების განხილვა და დამტკიცება; ნაკრები წლიური საბუხჰალტრო ანგარიშისა და ბალანსის შედგენა რესუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის მთელ სისტემაში; დასკვნების მიცემა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის საერთო საკავშირო მნიშვნელობის კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმების, ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ;

20. იმ საშუალო და დაბალი ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, რომლებიც ამზადებენ კვების მრეწველობის კადრებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური ქვემდებარეობის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელობა;

21. კვების მრეწველობის ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური კადრების აღრიცხვა და განაწილება, რესპუბლიკური ქვემდებარეობის ორგანიზაციებისა და საწარმოების დირექტორთა დანიშვნა და დათხოვნა;

22. საუწყებო არბიტრაჟის ორგანიზაცია კვების მრეწველობის იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის გადასაჭრელად, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ;

23. ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს უწყობენ გამომგონებლობის განვითარებას კვების მრეწველობის დარგში;

24. სამრეწველო კანონმდებლობის საკითხების შემუშავება რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კვების მრეწველობის მიმართ;

25. კვების მრეწველობის საკითხებზე მთავრობის უმაღლეს და სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა კონტროლისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაცია და განხორციელება;

26. ბრძანებებისა და ინსტრუქციების გამოცემა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

27. სხვა ამოცანების შესრულება, რომლებსაც საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს აკისრებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე.

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან იქმნება საბჭო, რომლის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სახალხო კომისრის წარდგენით.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის დავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. იანვრის 5. № 292/1510.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი დაარსებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-IV თავის, სსრ კავშირის ცაკ-ის 1937 წლის 11 იანვრის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ., № 6, მუხ. 19) და საქართველოს სსრ ცაკ-ის 1936 წ. 20 დეკემბრის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 1, მუხ. 3) საფუძველზე და არის საკავშირო რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) რესპუბლიკური ქვემდებარეობის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა;

ბ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო ქვემდებარეობის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მდგომარეობისა და მუშაობის კონტროლი, რაც ხორციელდება სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმების, ინსტრუქციებისა და განკარგულებათა საფუძველზე;

გ) ადგილობრივი ქვემდებარეობის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება.

3. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ანაგებს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის შემდეგ დარგებს:

1) სატყეო მეურნეობას, სატყეო კულტურას და ტყეების დაცვას;

2) ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებას;

3) ხე-ტყის ხერხვასა და ხის დამუშავებას;

4) ფანერისა და ავეჯის მრეწველობას.

4. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.

5. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

1) სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო და ოპერატიულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის განხორციელება;

2) კანონთა პროექტების შემუშავება სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის საკითხებზე, მათი შეტანა საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად, აგრეთვე მათი ცხოვრებაში გატარების ხელმძღვანელობა და კონტროლი;

3) მის გამგებლობაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების შემუშავება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის განვითარების ერთიან გეგმის შესაბამისად და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის;

4) სატყეო მრეწველობის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ოპერატიული ხელმძღვანელობა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმების შესრულების მხრივ, რომლებიც ემორჩილებიან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს;

5) მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა სხვა უწყებათა ხე-ტყის დამამზადებელი და დამცურებელი ორგანიზაციების მუშაობისათვის რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო ფონდის ტყეებსა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში;

6) კაპიტალური მშენებლობის პროექტების დამტკიცება საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით დადგენილი წესით სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ყველა დარგში, რომლებიც ემორჩილებიან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, და ხელმძღვანელობის გაწევა კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული გეგმების განხორციელებისათვის;

7) სატყეო-კულტურული, სატყეო-სამეურნეო, ხე-ტყის დამზადების და დაცურების სამუშაოთა მექანიზაციის, ტყის ნედლეულის რესურსების, წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენების და საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და ხელმძღვანელობის გაწევა მათი განხორციელებისათვის;

8) შრომის ორგანიზაციისა და სამუშაო ხელფასის ხელმძღვანელობა სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობაში, ტექნიკური ნორმირების საკითხების და შრომის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა შემუშავება, მუშაობის სტახანოვური მეთოდების ყოველნაირად გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე ხელმძღვანელობის გაწევა მათი განხორციელებისათვის;

9) პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, აგრეთვე მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შემუშავება; ხელმძღვანელობის გაწევა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, კერძოდ, სამშენებლო სამუშაოთა მექენიზაციის ხელმძღვანელობა;

10) სტახანოველთა მიღწევებისა და სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნების უახლესი მიღწევების დანერგვა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობაში; ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს უწყობენ გამომგონებლობას სატყეო მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში და გამოგონებათა დანერგვის უზრუნველყოფას წარმოებაში;

11) მომქმედი საწარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხების შემუშავება და ახალი საწარმოებისა და წარმოების სახეების ორგანიზაცია;

12) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ საწარმოთა პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია;

13) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწყობა;

14) დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა საწესდებო ფონდების ოდენობის დაწესება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

15) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა და საწარმოთა საფინანსო მეურნეობის რეგულირება და იმ კრედიტებისა და სახსრების განაწილება, რომლებიც გაიცემა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური სახელმწიფო ბიუჯეტით;

16) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა და საწარმოთა აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწყობა და ხელმძღვანელობა; საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის კალენდარული ვადების დაწესება ამ ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში; დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა წლიური საბუხჰალტრო ანგარი-

შების განხილვა და დამტკიცება; წლიური საბუხჰალტრო ანგარიშისა და ბალანსის შედგენა რესპუბლიკური ქვემდებარეობის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მთელი სისტემის ხაზით;

17) პროდუქციის გაუმჯობესების, ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდების და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა შემუშავება და გატარება;

18) რესპუბლიკური ქვემდებარეობის სატყეო მრეწველობის პროდუქციის გასაცემი ფასების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს სსრ შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გარდა იმ საქონლისა რომელთა გასაცემ ფასებს ამტკიცებს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი;

19) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობისათვის საჭირო კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსების, აგრეთვე მუშათა და სტახანოველთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობა და ხელმძღვანელობა; ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ინჟენერ-ტექნიკოს მუშაკთა კადრების განაწილება;

20) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა წესდებებისა და დებულებების დამტკიცება;

21) ბრძანებებისა და ინსტრუქციების გამოცემა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონთა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და ინსტრუქციათა საფუძველზე მათ შესასრულებლად და მათ შესრულების შემოწმება;

22) ახალი სამეურნეო ანგარიშის ერთეულების (ორგანიზაციისა და საწარმოს (მოწყობა კანონით დადგენილი წესით, მომქმედ საწარმოთა და ორგანიზაციათა გამსხვილება და დაწვრილერთეულება და მათი რეორგანიზაცია;

23) საუწყებო არბიტრაჟის მოწყობა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ სამეურნეო ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის განსახილველად;

24) კონტროლი და ხარისხის მხრივ ინსპექტირება სატყეო პროდუქციისა, რომელსაც ბაზარზე უშვებენ, როგორც საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი საწარმოები, ისე თვითდამამზადებლები სახელმწიფო ფონდის და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, სატყეო ბრაკერაჟის ხარისხის ინსპექციის მოწყობის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

6. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს მოადგილე.

7. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან იქმნება საბჭო, რომლის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის წარდგენით.

8. საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

052.1

5. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებსა და დაწესებულებებისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ.

„მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფასოდ დასარიგებლად საწარმოებსა და დაწესებულებებისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, (სსრკ კან. კრ. 1938 წ. № 1 მუხ. 5) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აეკრძალოს 1938 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი ქვემდებარეობის ყველა საწარმოსა და დაწესებულებას, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფასოდ დასარიგებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ იანვრის 2. № 6.
თბილისი.

863

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. რაიალმასკომების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, შესწყდეს 1938 წლის 1 იანვრიდან პერსონალური განაკვეთების დანიშვნა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის, ვიდრე არ იქნება მიღებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი წესი პერსონალურ განაკვეთთა დანიშვნის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარს, აგრეთვე ცენტრალურ დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმის ანგარიში, თუ ვის დაუნიშნეს პერსონალური განაკვეთები 1937 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. იანვრის 9. № 30.
თბილისი.

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 1. პ/მ. რედაქტორი **ი. ზელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 1938 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად. ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 2906 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 116